დამტკიცებულია

დამფუძნებელთა

კრების მიერ

(ოქმი №1 ---------- 2003წ)

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს

რაიონული სასამართლოს მიერ

2003 წ „21“ ---------

№ 5/9-797 -------- დანიშნულებით

მოსამართლე ----------

წ ე ს დ ე ბ ა

ა ს ო ც ი ა ც ი ა (კავშირი)

„ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი“ (ძდექ)

თბილისი 2003

მუხლი 1
ზოგადი დებულებები

1.1. ასოციაცია (კავშირი) "ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი" (შემდგომში - "კავშირი") წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე რეგისტრირებულ იურიდიულ პირს კავშირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს აღნიშნული კოდექსის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საკუთარი წესდების შესაბამისად.

1.2. კავშირის სახელწოდებაა:

- ქართულად: კავშირი "ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი" (ძდქ)
- ინგლისურად: Union "Anti-Violence Network of Georgia" (AVNG)
- რუსულად: „Национальная сеть против насилия" (НСПН)

1.3.კავშირს გააჩნია დამოუკიდებელი ბალანსი, განცალკევებული ქონება, საანგარიშსწორებო და სავალუტო ანგარიშები საქართველოს და საზღვარგარეთის საბანკო დაწესებულებებში, უფლებამოსილია თავისი სახელით დადოს გარიგებები, შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და იკისროს მოვალეობები, იყოს მოსარჩელე ან მოპასუხე სასამართლოში, გააჩნია საკუთარი ბეჭედი სახელწოდებითა და ემბლემით.

1.4. კავშირი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

1.5. კავშირის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ყიფშიძის ქ. №8, ბინა 69.

მუხლი 2
კავშირის მიზნები და საქმიანობის მიმართულებები

2.1. კავშირის მიზნებია:

- ქვეყანაში დემოკრატიზაციის, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესის ხელშეწყობა;
- ადამიანის უფლებების დაცვა;
- მართლშეგნების დონის ამაღლება და კანონის უზენაესობის ცნობიერების დამკვიდრება საქართველოში;
- ცოდნის გავრცელება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების სფეროში;
- ქსელური მუშაობა ძალადობისაგან ქალთა და ბავშვთა დასაცავად;
- ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება სამთავრობო უწყებებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით;
- სოციალური და ეკონომიკური პრობლემების დაძლება;
- საზოგადოების ჰუმანიზაციის, კულტურის დონის ამაღლებისა და გარემოს დაცვითი ცნობიერების დამკვიდრების ხელშეწყობა;
- ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის ხელშეწყობა;
- ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვა;
- სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
- პატიმართა უფლებების დაცვა.

2.2. კავშირის საქმიანობის მიმართულებებია:

- ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებთან, სახელმწიფო, კომერციულ და საზოგადოებრივ, საერთაშორისო და საზღვარგარეთის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობების დამყარება;
- საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებს, სემინარებს, ტრენინგებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება;
- საგანმანათლებლო, საგამომცემლო, მთარგმნელობითი, საინფორმაციო და სარეკლამო საქმიანობის განხორციელება კანონით დადგენილი წესით;
- მიზნობრივი ფონდის შექმნა ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად;
- ძალადობის მსხვერპლთათვის თავშესაფრის შექმნა;

- ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა;
- ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვა;
- ჯანმრთელობის დაცვისათვის ზრუნვა, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებების განხორციელება და შესაბამისი ბაზის განვითარების ხელშეწყობა;
- სახელმწიფო ღონისძიებათა და კერძო ინიციატივების ხელშეწყობა მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების და ძალადობის მსხვერპლთა პრობლემების გადასაჭრელად;
- დამოუკიდებლად და სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით კავშირის საწესდებო მიზნების მისაღწევად საწარმოებისა და ორგანიზაციების დაფუძნება იურიდიული პირის უფლებით;
- ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის მიზნით საკონსულტაციო სამსახურის ჩამოყალიბება;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სოციოლოგიური გამოკვლევების წარმოება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში;
- სოციალურად დაუცველ პირთათვის უფასო იურიდიული მომსახურების განხორციელება;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაარსება;
- ფილიალების, ახალგაზრდული და საბავშვო ორგანიზაციების გახსნა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ;
- გარემოს დაცვა;
- სხვა საქმიანობების განხორციელება, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 3
კავშირის დამფუძნებელი წევრები

კავშირის დამფუძნებელი წევრები არიან:
1. ნატო შაელაყაძე - დაბადებული: ქ. თბილისი, 15.01.1966, მცხოვრები: ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს 41, ბინა 59, პროფესიით ინჟინერ-ტექნოლოგი
2. ელისო ამირეჯიბი - დაბადებული: ქ. თბილისი, 25.07.1964, მცხოვრები: ქ. თბილისი, ყიფშიძის ქ. №8, ბინა 69, პროფესიით ბიოლოგი.
3. გივი მიქანაძე - დაბადებული: ქ. თბილისი, 20.05.1977, მცხოვრები: ქ. თბილისი, ყაზბეგის გამზ №10, პროფესიით იურისტი
4. მაია ბაქრაძე - დაბადებული: ქ. თბილისი, 27.08.1962, მცხოვრები: ქ. თბილისი, იოსებიძის ქ.№66, ბ. 48, პროფესიით ფსიქოლოგ-სოციოლოგი
5. ცოვინარ ნაზაროვა - დაბადებული: ქ. თბილისი, 01.07.1956. მცხოვრები: ქ. თბილისი. მუხიანი, პირველი მკ–ნი, მე-5 კორპ. ბ. 40 პროფესიით კიბერნეტიკოსი
6. ნანა ფანცულაია - დაბადებული: ქ. თბილისი, 19.01.1958, მცხოვრები: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ.№179, პროფესიით აღმოსავლეთმცოდნე
7. ნინო ბაქაური - დაბადებული: ქ. თბილისში, 11. 05. 1974, მცხოვრები: ქ. თბილისი, სანზონის დასახლება, მე-3 კორპ, ბინა №33, პროფესიით იურისტი
8. გალინა პეტრიაშვილი – დაბადების ადგილი. რუსეთი. ირკუცკის ოლქი. ქ. შოლხოვი 22. 03. 1959წ. მცხ. თბილისი, იორის ქ. №19. ჟურნალისტი.

მუხლი 4
კავშირის წევრობა და წევრთა უფლება-მოვალეობები

4.1. კავშირის წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს და უცხოეთის ნებისმიერი მოქალაქე ან იურიდიული პირი, რომელიც აღიარებს წინამდებარე წესდებას და მონაწილეობას მიიღებს

კავშირის საქმიანობაში. კავშირის წევრი ორგანიზაციები სარგებლობენ კავშირის ასოცირებული წევრის სტატუსით.

4.2. კავშირის წევრად მიღებას ახდენს გამგეობა წერილობითი განცხადების საფუძველზე. განცხადებას თან უნდა დაერთოს კავშირის ორი წევრის რეკომენდაცია. გამგეობა წევრად მიღების საკითხს წყვეტს განცხადების შემოსვლიდან არაუგვიანეს 2 თვისა.

4.3. კავშირის წევრობისათვის დაწესებულია საწევრო გადასახადი, რომლის ოდენობასა და გადახდის წესს განსაზღვრავს კავშირის გამგეობა. საწევრო შესატანები გამოიყენება მხოლოდ კავშირის საწესდებო მიზნების მისაღწევად.

4.4. კავშირის წევრი შეიძლება გარიცხული იქნეს წევრობიდან, თუ მისი საქციელი ეწინააღმდეგება საწესდებო მოთხოვნებს და ზიანს აყენებს ორგანიზაციას.

4.5. კავშირის წევრს უფლება აქვს:

- 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში და არჩეულ იქნეს კავშირის გამგეობაში და კომისიებში;
- მოითხოვოს სამართლებრივი ინტერესებისა და უფლებების დაცვა;
- გაეცნოს ინფორმაციას და მიიღოს მონაწილეობა კავშირის საქმიანობაში;
- ნებისმიერ დროს გავიდეს კავშირის წევრობიდან.

4.6. კავშირის წევრი ვალდებულია:

- მონაწილეობა მიიღოს კავშირის წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით შესრულებაში;
- დროულად გადაიხადოს საწევრო გადასახადი;
- გაუფრთხილდეს კავშირის ავტორიტეტს და პროპაგანდა გაუწიოს კავშირის საქმიანობას;
- დაიცვას კავშირის საქმიანობის კონფიდენციალურობა;
- გაუფრთხილდეს ორგანიზაციის ქონებას.

მუხლი 5
კავშირის მართვის ორგანოები

5.1. კავშირის მართვის ორგანოებია:

- კავშირის წევრთა საერთო კრება;
- კავშირის გამგეობა
- კავშირის სარევიზიო კომისია.

5.2. **კავშირის წევრთა საერთო კრება** კავშირის მართვის უმაღლესი ორგანოა, რომელიც მოიწვევა წელიწადში ერთხელ გამგეობის მიერ. რიგგარეშე კრება მოიწვევა გამგეობის წევრთა მეათედის წერილობითი მოთხოვნით და დღის წესრიგის მითითებით.

5.2.1. კავშირის კრების ჩატარების დროის, ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ წევრებს ეცნობებათ წერილობით ან კავშირის ბეჭდვით ორგანოში ინფორმაციის გამოქვეყნებით კრების ჩატარებამდე ორი კვირით ადრე მაინც.

5.2.2. იმ შემთხვევაში, თუკი კავშირის წევრთა რაოდენობა გადააჭარბებს 200-ს, კრება ჩატარდება დელეგატების მონაწილეობით, რომელტა არჩევის წესი განისაზღვრება გამგეობის მიერ. ამასთან, დაინტერესებულ წევრებს უფლება აქვთ ასეთ შემთხვევაშიც მოითხოვონ კრებაზე დასწრება.

5.2.3. კრების მუშაობას წარმართავს გამგეობის თავმჯდომარე, ხოლო მის მიერ ამ უფლების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში - მისი ერთ-ერთი მოადგილე.

5.2.4. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა 2/3 ან დელეგატთა 3/4 მაინც.

5.2.5. კავშირის ყველა წევრს (დელეგატს) კენჭისყრისას აქვს ერთი ხმა. იმ წევრებს, რომლებიც ვერ ესწრებიან კრებას, შეუძლიათ წერილობით მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრაში, ისინი უთანაბრდებიან კრებაზე დამსწრე წევრებს. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში საკითხი მიიჩნევა უარყოფილად.

5.2.6. კრება გადაწყვეტილებას იღებს ღია ან ფარული კენჭისყრით. კენჭისყრის სახეობას განსაზღვრავს კრება.

5.2.7. კრების გადაწყვეტილება ნამდვილია მხოლოდ მაშინ, თუ ის საკითხი, რაზედაც გადაწყვეტილება იქნა მირებული, შეტანილი იყო კრების მოწვევისას დღის წესრიგში.

5.2.8. კავშირის წევრთა საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება:

- კავშირის წესდებაში ცვლილებების შეტანა;
- კავშირის ქონების დაგირავება ან გასხვისება;
- კავშირის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილება;
- კავშირის გამგეობის წევრთა რაოდენობის განსაზღვრა და მათი არჩევა;
- კავშირის აღმასრულებელი დირექტორის არჩევა;
- სარევიზიო კომისიის წევრთა რაოდენობის განსაზღვრა და მათი არჩევა;
- საკონსულტაციო ორგანოს შექმნა და მისი შემადგენლობის განსაზღვრა.

5.2.9. კრების გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. გადაწყვეტილება წესდების შეცვლის თაობაზე მიიღება ხმათა 2/3-ის უმრავლესობით, კავშირის მიზნების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ხმათა 4/5-ის უმრავლესობით.

5.3. **კავშირის** გამგეობა კავშირის საქმიანობას წარმართავს კრებებს შორის პერიოდში, რომელსაც 4 წლის ვადით ირჩევს საერთო კრება. გამგეობა წარმოადგენს ორგანიზაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში.

5.3.1. გამგეობის შემადგენლობაში შედიან გამგეობის თავმჯდომარე და კრების მიერ არჩეული გამგეობის წევრები.

5.3.2. გამგეობის სხდომა მოიწვევა გამგეობის თავმჯდომარის მიერ საჭიროების შემთხვევაში, მაგრამ არაუგვიანეს ერთი კვარტლისა. მოწვევა წარმოებს წერილობით.

5.3.3. გამგეობის სხომაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით. გამგეობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა 2/3.

5.3.4. კავშირის გამგეობის წევრები არიან:

1. ნატო შავლაყაძე - დაბადებული: ქ. თბილისი, 15.01.1966, მცხოვრები: ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს 41, ბინა 59, პროფესიით ინჟინერ-ტექნოლოგი.
2. ელისო ამირეჯიბი - დაბადებული: ქ. თბილისი, 25.07.1964, მცხოვრები: ქ. თბილისი, ყიფშიძის ქ.№8, ბინა 69, პროფესიით ბიოლოგი.
3. გივი მიქანაძე - დაბადებული: ქ. თბილისი, 20.05.1977, მცხოვრები: ქ. თბილისი, ყაზბეგის გამზ. №10, პროფესიით იურისტი
4. მაია ბაქრაძე - დაბადებული: ქ. თბილისი, 27.08.1962, მცხოვრები: ქ. თბილისი, იოსებიძის ქ.№66, ბინა. 48, პროფესიით ფსიქოლოგ-სოციოლოგი.
5. ცოვინარ ნაზაროვა - დაბადებული: ქ. თბილისი, 01.07.1956. მცხოვრები: ქთბილისი. მუხიანი, პირველი მკ-ნი,მე-5 კორპ. ბ. 40 პროფესიით კიბერნეტიკოსი.

5.3.5. გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება:

- კავშირის საქმიანობის პრინციპების განსაზღვრა;
- კავშირის წევრების მირება და გარიცხვა;
- საწარმოების დაფუძნება ან სხვა საწარმოში კავშირის წილობრივი მონაწილეობის საკითხის გადაწყვეტა;
- კავშირის სახსრების მართვა და განკარგვა;
- საწევრო შენატანების ოდენობის დადგენა;
- კავშირის შინაგანაწესის, თანამდებობის პირებისა და მომსახურე პერსონალის საშტატო ერთეულების და ხელფასის ფონდის დამტკიცება;
- კავშირის დარგობრივი კომისიების შექმნა;
- კავშირის განსახორციელებელი პროგრამის დამტკიცება და მისი დირექტორების დანიშვნა;
- კავშირის სათათბირო ორგანოს შექმნა და მისი წევრების არჩევა;
- კავშირის სიმბოლოების დამტკიცება;
- კავშირის ბეჭდვითი ორგანოს და ტელეარხის ხელმძღვანელის დანიშვნა;
- კავშირის სხვა საქმიანობის განსაზღვრა წესდების შესაბამისად.

5.3.6. კავშირის გამგეობის წევრს ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა, თუ მის მიერ მოვალეობის არაკეთილსინდისიერად შესრულების გამო ზიანი მიადგა კავშირს ან მესამე პირს.

5.4. **გამგეობის** თავმჯდომარე არის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც ხელმძღვანელობს გამგეობის საქმიანობას, მოქმედებს კავშირის სახელით და წარმოადგენს მას სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების, ასევე მესამე პირთა წინაშე.

5.4.1. გამგეობის თავმჯდომარეს ირჩევს გამგეობა 4 წლის ვადით. თავმჯდომარე:

- ხელმძღვანელობს გამგეობისა და საერთო კრების სხდომებს;
- ხელს აწერს კავშირის სახელით დადებულ გარიგებებს;

ცოვინარ ნაზაროვა მაია ბაქრაძე ნატო შავლაყაძე

- ხსნის და ხურავს ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში;
- გამგეობის წევრთა შემადგენლობიდან ნიშნავს თავის მოადგილეებს და განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებას;
- ამყარებს კავშირებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა ანალოგიურ კავშირებთან;

5.4.2. გამგეობის თავმჯდომარის მიერ თავისი უფლებამოსილების განუხორციელებლობის ან გადადგომის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ახორციელებს მისი ერთ-ერთი მოადგილე გამგეობის დავალებით.

5.5. **სარევიზიო კომისია** წარმოადგენს კავშირის მაკონტროლებელ ორგანოს, რომელთა შემადგენლობას ირჩევს საერთო კრება. სარევიზიო კომისია:
- აკონტროლებს კავშირის წესდებისა და საერთო კრების გადაწყვეტილებების შესრულებას;
- ამოწმებს კავშირის საფინანსო-სამეუწნეო საქმიანობას, კავშირის ბიუჯეტიდან თანხების ხარჯვის მართლზომიერებას;
- საჭიროების შემთხვევაში ამოწმებს კავშირის გამგეობასა და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანოთა მიერ განცხადებების, საჩივრებისა და წერილების განხილვის დროულობასა და სამართლიანობას.

5.6. კავშირის საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას **საკონსულტაციო ორგანო,** რომლის საქმიანობა შემოიფარგლება მხოლოდ რჩევების მიცემით. მის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ როგორც კავშირის წევრები, ასევე მოწვეულ იქნენ მეცნიერები და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები.

მუხლი 6
კავშირის ქონება და შემოსავლის წყაროები

6.1. კავშირს შეიძლება საკუთრებაში გააჩნდეს ნებისმიერი მოძრავი და უძრავი ქონება;
6.2. კავშირის ქონება და სახსრები იქმნება:
- კავშირის წევრთა საწევრო შენატანებით;
- შემოწირულობებით;
- საქველმოქმედო ღონისძიებებიდან მიღებული შემოსავლებით;
- გრანტებით;
- დამხმარე ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით;
- კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით.

6.3. კავშირის ქონება და შემოსავლები უნდა მოხმარდეს მხოლოდ კავშირის საწესდებო მიზნების მიღწევას და დაუშვებელია მათი განაწილება კავშირის წევრებს შორის.

მუხლი 7
კავშირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

7.1. კავშირის რეორგანიზაცია ხორციელდება კავშირის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.
7.2. კავშირის ლიკვიდაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:
- რეგისტრაციის გაუქმებისას;
- კავშირის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით;
- სასამართლოს გადაწყვეტილებით.

73. კავშირის ლიკვიდაციის შემთხვევაში უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში და გადაეცეს მსგავსი მიზნების მქონე კავშირს.
7.4. ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს პრესაში.

7.5. ქონება შეიძლება განაწილდეს ლიკვიდაციის შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ.

დამფუძნებელთა ხელმოწერები:

ნატო შავლაყაძე _____

ელისო ამირეჯიბი _____

გივი მიქანაძე _____

მაია ბაქრაძე _____

ცოვინარ ნაზაროვა _____

ნანა ფანცულაია _____

ნინო ბაქაქური _____

გალინა პეტრიაშვილი _____